



## წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი

4 სექტემბერი - 22 სექტემბერი 2012

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 4 სექტემბერი - 22 სექტემბერის ჩათვლით 12 საინფორმაციო პორტალის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

კვლევის ამ პერიოდში ვებ-გვერდები იყოფა სამ კატეგორიად: 1. იცავენ ჟურნალისტური სტანდარტებს; 2. ნეიტრალურობის და ბალანსის ფონზე შეინიშნება რედაქციის ტენდენციური დამოკიდებულებები; 3. გამოირჩევიან აგრესიული სარედაქციო პოლიტიკით .

18-22 სექტემბრი კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო. ციხეში ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელებამ გავლენა იქონია მონიტორინგის შედეგებზე. მკვეთრად გაიზარდა ორი საარჩევნო სუბიექტის გაშუქების მაჩვენებელი: მთავრობა და პრეზიდენტი.

ძირითადი მიგნებების ფონზე საერთო მაჩვენებლების მიხედვით საიტები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

- tabula.ge, internet.ge და onlinenews.ge დაახლოებით ერთ სტილში მუშაობენ, განსხვავებაა სტატიების ფორმაში: internet.ge და onlinenews.ge მხოლოდ საინფორმაციო სტატიებს აქვეყნებს, tabula.ge კი საინფორმაციო და ანალიტიკურ სტატიებს. ამ საიტებზე შეინიშნება ნეიტრალურობის და ბალანსის ფონზე რედაქციის ტენდენციური დამოკიდებულებები;
- ვებ-საიტებს dfwatch.net, palitratv.ge, civil.ge, news.ge, liberali.ge და netgazeti.ge-ს მასალებში დაცული არის ჟურნალისტური ეთიკა, ბალანსი და წყაროების სიმრავლე. საიტზე მრავალმხრივად შუქდება მოვლენები.
- for.ge, presa.ge და droni.ge-ს მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევა: შერჩევითი დამოკიდებულება ფაქტების მიმართ, ჟურნალისტების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება, აგრესიული ვიზუალურ მასალა და სათაურებში არაეთიკური ფრაზები. საიტების რედაქციის პოლიტიკური შეხედულებები აისახება სუბიექტების გაშუქებისას, ფაქტების შერჩევასა და ჟურბნალისტის ტონში.

## მეთოდოლოგია და ანალიზი

მოცემული ანგარიში მოიცავს 16 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. საინფორმაციო ვებ-საიტების წინასაარჩევნო მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტისთვის დათმობილი დრო და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, სტატიების სათაურებისა და თანდართული ვიზუალური მასალის შეფასება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის პერიოდში თითოეულ ვებ-საიტზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც ტექსტის გარკვეული მოცულობა მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ ვებ-საიტზე კატეგორია „სხვაში“ გაერთიანებულია ის სუბიექტები, რომლებსაც ამ ვებ-საიტზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როდესაც მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა, იქვე ხდება მისი ტონის შეფასებაც. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ ვებ-საიტზე სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტზე საუბრის ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ ვებ-საიტზე სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა მთლიანად და ცალკე ჟურნალისტის მიერ ამ სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს, ანუ რამდენად არის სტატიებში წარმოდგენილი საკითხის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლად მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და

სტატიაში გამოყენებული მასალები, არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში.

*netgazeti.ge*

*ვებ-საიტ netgazeti.ge-ს მასალებში დაცული არის ჟურნალისტური ეთიკა, ბალანსი და წყაროების სიმრავლე. საიტზე მრავალმხრივად შეუქდება მოვლენები, რედაქცია ცდილობს უპასუხოდ არ დატოვოს საზოგადოებაში გაჩენილი კითხვები. netgazeti.ge ამ პერიოდში მომხდარ ძირითად მოვლენებს დროულად და ამომწურავად აშუქებს. თემატიკა მრავალფეროვანია, თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიების და ხელისუფლების აქტივობები, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებები და საზოგადოებრივი აზრიც. netgazeti.ge-ზე ხშირად განიხილება წამყვანი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამა. ვებ-საიტზე შეხვედრებით ეთიკური ნორმების ფარგლებში მომზადებულ კრიტიკულ სტატიებსაც.*

მონიტორინგის პერიოდში, რაოდენობრივი კვლევის ცხრილებში ტექსტის მოცულობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (33%) ერგო. მას მოყვება „კოალიცია ქართული ოცნება“ – 28%.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ მოცულობას ნეიტრალური ტონის მიხედვით, ასე გადანაწილდა მაჩვენებელი: „კოალიცია ქართული ოცნება“ – 93%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 70% და პრეზიდენტი - 83%. ნეგატიური ტონის პროცენტი ასეთი თანმიმდევრობით ლაგდება: ოპოზიცია - 39%, მთავრობა - 35%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 30%.

საიტზე ვხვდებით ანალიტიკური და საინფორმაციო შინაარსის სტატიებს, რომელსაც ერთვის რესპონდენტების და ჟურნალისტის კომენტარები. ჟურნალისტის კომენტარებში მსჯელობა არგუმენტირებულია და გამყარებულია ფაქტებით. სტატიას ხშირად ახლავს ჟურნალისტის დასკვნაც, რომელიც გამომდინარეობს სტატიაში მოყვანილი ფაქტებით და მსჯელობებით. უმეტესი მასალები ამომწურავად გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა თემაზე, არის ვრცელი და ანალიტიკური სახის მასალები მაგ: „სოფლის მეურნეობა - რეალური პრიორიტეტი თუ საარჩევნო პიარ-სტრატეგია?“ (8 სექტემბერი); აქვე შეგვიძლია დავასახელოთ მოკლე და ინფორმაციული ხასიათის სტატიებიც: „საპატრიარქო: მხოლოდ პატრიარქი შეხვდა ახალაიას და არავინ იცის, რა საკითხზე“ (20 სექტემბერი). მოცულობით დიდი მასალა გვხვდება პოლიტიკური პარტიების პროგრამების განხილვისას: „რა ადგილს იკავებს კულტურა პარტიების საარჩევნო კამპანიაში“ (12 სექტემბერი).

საიტზე სათაურები ძირითადად არის ნეიტრალური შინაარსის, აღწერილობითი ხასიათის და ადეკვატურად გადმოსცემს სტატიის ძირითად აზრს, მაგ: **“შსს სამინისტროს ეკა ზღულაძე უხელმძღვანელებს“** (20 სექტემბერი). იშვიათად გვხვდება ასეთი სახის სათაურები: **„საკაშვილი: რუსთავი თვალში ხომ არ ეპატარავებათ, რომ უნდათ 'სეკონდ ჰენდი' შემოგტენონ“** (9 სექტემბერი). საიტზე ხშირად ვხვდებით სათაურებს, სადაც რესპონდენტთა ციტატებია გამოყენებული, მაგ: **“ტულუში: "ამ წუთებში გლდანის ციხეში არავინ შიმშილობს" (22 სექტემბერი).** **„საკაშვილი: თქვენ არ გიყვართ საქართველო, თუკი ასლან აბაშიძის ხალხი მოგყავთ უკან“** (8 სექტემბერი).

ვიზუალიზაციის კუთხით netgazeti.ge იყენებს: ფოტო და ვიდეო მასალას, გვხვდება გრაფიკები და ლოგოებიც. ვიზუალური მასალა ადეკვატურად გამოხატავს სტატიის შინაარსს. ვებ-საიტზე გვხვდება ფოტო-რეპორტაჟებიც. ფოტოები თემატური და მაღალი ხარისხის არის. თითქმის არ არის ნეგატიური შთაბეჭდილების ილუსტრაციები. netgazeti.ge-ს საიტზე გვხვდება რამდენიმე მასალა, რომელიც მომზადებულია „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტი "რეგიონული საკითხების გაშუქების" ფარგლებში, მაგ: **“რატომ დარჩა სეტყვისგან დაზარალებულების ნაწილი კომპენსაციის გარეშე“** (9 სექტემბერი). ვიდეო მასალები გვხვდება საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, ციხეში არსებულ სიტუაციასა და პატიმართა უფლებების დარღვევის საკითხებზეც.

netgazeti.ge დაბალანსებულად აშუქებს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას და პოლიტიკური განცხადებებს ხშირად წარმოადგენს. **„საკაშვილი: ვინც არ უნდა შემოგვიგდონ ყველა ფალავანი დამარცხდება“** (8 სექტემბერი) და **„ივანიშვილის თქმით, არჩევნების მეორე დღეს ყველაფერი გვიანი იქნება“** (9 სექტემბერი).

რედაქცია უყურადღებოდ არ ტოვებს საზოგადოებისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, სადაც ჩვენი სუბიექტები ირიბად მაინც ფიგურირებენ, მაგ: **„წარწერა „წართმეულია“ - ამჯერად ქიზარ ხალვაშისთვის ჩამორთმეული კომპანიის შენობის ფასადზე“** (8 სექტემბერი); **“ბათუმელების" მთავარი რედაქტორის სვეტი“** (17 სექტემბერი); **„ლაზიკა თუ ანაკლია - სად შენდება ახალი ქალაქი?“** (14 სექტემბერი); **„როგორ აფასებენ წინასაარჩევნო გარემოს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები“** (13 სექტემბერი).

საიტზე განთავსებული მასალები ეყრდნობა ფაქტებს, შინაარსი ყოველთვის შესაბამისობაში მოდის სათაურთან და ვიზუალურ მასალასთან. თემატიკის თვალსაზრისით არ ხდება აქცენტების სხვა საკითხებზე გადატანა, მთავარი თემა ყოველთვის ნათლად გამოკვეთილია.

netgazeti.ge-ს ჟურნალისტები ეყრდნობიან ფაქტებს, რომელებიც შეძლებისდაგვარად გადამოწმებულია სხვადასხვა წყაროსთან და ხშირ შემთხვევაში გამყარებულია ფოტო ან ვიდეო მასალით. **„ნაცმოძრაობის**

CDI - წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი (16 ივლისი-3 სექტემბერი, 2012)

სარეკლამო პლაკატებს სამარშრუტო ტაქსებიდან ხსნიან“ (19 სექტემბერი); „ივანიშვილის ჯონ მაკკეინთან შეხვედრის დეტალები“ (6 სექტემბერი); „რა ხდება გლდანის საპრობილესთან [LIVE/პირდაპირი]“ (19 სექტემბერი). არ ყოფილა ჟურნალისტის მხრიდან ფაქტებით მანიპულირების შემთხვევები;

ჟურნალისტები არიან ნეიტრალურები ფაქტების გაშუქებისას. თუმცა არის შემთხვევები, როცა არგუმენტებზე დაყრდნობით დასკვნებსა და კომენტარებში კრიტიკულად აფასებენ სხვადასხვა მოვლენებს. სტატიებში არ შეიმჩნევა სიძულვილის ენა და ამ კუთხით სტანდარტის დარღვევა.

netgazeti.ge-მა ადაკვეტურად ასახა 18-22 სექტემბრის მიმდინარე მოვლენები, სასჯელაღსრულებით სისტემაში არსებული დარღვევები საიტზე შუქდებოდა ინტენსიურად. საიტზე ამ პერიოდში განსაკუთრებით შეიმჩნევა საინფორმაციო მასალების რაოდენობის ზრდა.

### *droni.ge*

*droni.ge-ზე სტატიები ძირითადად ანალიტიკური ხასიათისაა და ჟურნალისტების მოსაზრებებს დაუფარავად აფიქსირებს. გვხვდება საინფორმაციო ხასიათის სტატიებიც. საიტზე მასალების რაოდენობა მწირია, რადგან ვებ-გვერდი სრულფასოვნად არ ასახავს მიმდინარე მოვლენებს. droni.ge-ს მონიტორინგისას არა ერთხელ გამოიკვეთა ჟურნალისტური სტანდარტების უბეში დარღვევა: შერჩევითი დამოკიდებულება ფაქტების მიმართ, ჟურნალისტების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება, ვიზუალურ მასალაში ილუსტრაციების ირონიული სტილი, აგრესიული სათაურების და სუბიექტივიზმის პირდაპირი გამოვლინება. საიტის რედაქციის პოლიტიკური შეხედულებები აისახება სუბიექტების გაშუქებისას, ფაქტების შერჩევასა და ჟურნალისტის ტონშიც.*

რაოდენობრივ კვლევაში სუბიექტზე დათმობილი მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: კოალიცია „ქართული ოცნება“ - 35%, პრეზიდენტი - 28% და მთავრობა -25%. კვლევის თანახმად ნეიტრალური ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მთავრობას - 90% ერგო. ნეიტრალური ტონის დანარჩენი პროცენტი შემდეგნაირად გადანაწილდა: პრეზიდენტი -69%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 45% და კოალიცია „ქართული ოცნება“- 13%. ნეგატიური ტონის 87% კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ერგო, ხოლო დადებითი ტონი შეხვდა: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (53%) და პრეზიდენტს (27%).

სტატიის მოცულობის თვალსაზრისით საიტზე სხვადასხვა ზომის მასალები გვხვდება. ვებ-გვერდზე მოკლე საინფორმაციო და შედარებით დიდი ანალიტიკური ხასიათის სტატიებია განთავსებული. უნდა

აღვნიშნოთ, რომ სტატიები არ არის გამყარებული ფაქტებით, რესპონდენტების არგუმენტებით და ხშირად ანონიმურ წყაროს ეყრდნობა, მაგ: „ივანიშვილმა პატრიარქი არაკორექტულად მოიხსენია“ (9 სექტემბერი). ამ სტატიაში ჟურნალისტი ანონიმური წყაროს ციტატას იშველიებს: „როცა მისმა უწმინდესობამ, გუშინ, სტუდენტებს ქადაგებისას სთხოვა, რომ აქციები შეეწყვიტათ, ამაზე ბიძინა გაბრაზდა. ძალიან გააღიზიანა ივანიშვილი პატრიარქის ამ განცხადებამ. მან ილია მეორეს სატელიტი უწოდა და თქვა რომ „ეკლესიაც მისახედია.“

სათაურები ძირითადად არა ეთიკურია, ჟურნალისტები ხშირად იყენებენ რესპონდენტთა ციტატებს. საიტზე ხშირად გვხვდება არა კორექტული და შეურაცხმყოფელი სათაურები, რომლებიც ძირითადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ არის მიმართული, მაგ: "დაუკართ ოსური, ბიძინაა მოსული!.." (14 სექტემბერი),

„სამეგრელოშიჩასულმაღიბორისტალიდერმაშალვანათელაშვილმაზუგდიდშიჩატარებულშეხვედრაზებიძინაივანიშვილს „უნიკალურიპინგვინიჭორვილადან“ უწოდა, ხოლო „ქართულიოცნება“ „მდიდართახროვად“ მოიხსენია.“ (13 სექტემბერი).

ვიზუალურ მასალად droni.ge-ს რედაქცია ხშირად იყენებს ვიდეოებს, ფოტო-კოლაჟებს და კარიკატურებს. ფოტო-კოლაჟის მაგალითია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ყრილობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში“ (9 სექტემბერი).

droni.ge წყაროების მიხედვით დაუბალანსებელ ინფორმაციას ავრცელებს და ხშირად მკითხველი გამიზნულად შეყავს შეცდომაში. არ ამოწმებს ფაქტებს, რომელსაც მსჯელობებისას იშველიებს. ჟურნალისტის ტენდენციურობა შეინიშნება ფაქტების შერჩევისას და ამკარაა მიკერძოებული, მკვეთრად გამოხატული სუბიექტური პოზიცია გაშუქებისას. საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად მიკერძოებულად იყენებს ფაქტებს და სვამს აქცენტებს, მაგ: „ქართული სინამდვილე და რუსული, ოცნებანარევი გეგმა B“ (9 სექტემბერი); „ბიძინას გეგმა და სერგოს გზა...“ (7 სექტემბერი).

droni.ge-ს ჟურნალისტები არაეთიკური გამონათქვამებით და აგრესიული ფრაზებით გამოირჩევიან, მაგ: „ბიძინას მოკლე ფეხები აქვს“ (8 სექტემბერი); „არასაოცნებონოკდაუნდანნოკაუტამდედარჩა...“ (12 სექტემბერი).

უნდა აღინიშნოს, 18 სექტემბერს ციხეში არსებულ ძალადობის კადრების გაშუქებისას droni.ge ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე და საკადრო ცვლილებებზე. საიტზე მცირე რაოდენობით დაფიქსირდა ინფორმაცია საპროტესტო აქციებისა და პატიმრების მდგომარეობის შესახებ.

*ვებ-გვერდზე დღეში საშუალოდ 20 მასალას განათავსებენ. მათ შორის ჭარბაზოს მოკლე საინფორმაციო შეტყობინებები, ოფიციალური სტრუქტურების პრეს რელიზები და მცირე ზომის სტატიები. იშვიათად გვხვდება ანალიტიკური ტიპის სტატია. ვებგვერდი წინა პერიოდის მონიტორინგთან შედარებით ნაკლებად გამოირჩევათემატურიმრავალფეროვნებითსაარჩევნოსუბიექტებთანდაკავშირებით. საიტზე ძირითადად წარმოდგენილია ორი საარჩევნო სუბიექტის აქტივობა, 18-22 სექტემბრიდან კი ემატება მთავრობის საკადრო ცვლილებები.*

*ჟურნალისტიკისმიერგამოყენებულიაძირითადადნეიტრალურიტონი, თუმცარამდენიმეგამონაკლისიიყო, ჟურნალისტიკისმიერქართულიოცნებისლიდერებისმიმართდაფიქსირდნენეგატიურიტონი. ასევე, პრეზიდენტის და ოპოზიციის მიერ მთავრობის მიმართ დაფიქსირდა ნეგატიური ტონი.*

*მასალაში უმეტესად გადმოცემულია ფაქტები და ჟურნალისტების შეფასებები პრაქტიკულად არცერთ მასალაში არ გვხვდება.*

რაოდენობრივი მონაცემები შეჯამების შედეგად ვებ-გვერდზე გამოიკვეთა 2 საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტი: „ნაციონალური მოძრაობა“ (18%), კოალიცია „ქართული ოცნება“ (30%). დანარჩენი სუბიექტები წარმოდგენილია დაბალი პროცენტული მაჩვენებლით.

პოლიტიკური სუბიექტების ტონი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. სამივე ტონი გამოვლინდა მხოლოდ სამ სუბიექტთან: ნაციონალური მოძრაობა (ნეგატიური 4%, ნეიტრალური 93%, პოზიტიური 3%), ქართული ოცნება ( ნეგატიური 22%, ნეიტრალური 77%, პოზიტიური 2%), მთავრობა (ნეგატიური 27%, ნეიტრალური 72%, პოზიტიური 1%).

საიტზე საკმაოდ ხშირად შუქდება სამთავრობო აქტივობები - პრემიერ-მინისტრის ვიზიტები, პრეზიდენტის მიმართვები და იშვიათად კოალიციის აქტივობა.

ბალანსისმხრივვებ-გვერდზეხშირადგვხვდებაერთმანეთისსაპირისპირომოსაზრებები, თუმცასხვადასხვამასალაშიდაარაერთ სტატიაში.

ხშირადგანსხვავებულიმოსაზრებებიგვხვდებამეორედლისმასალებში.

გამოთქმულმოსაზრებასანშეფასებებსყოველთვისახლავსავტორი. თუმცა, რამდენიმეშემთხვევა იყო როდესაც არ მოყვა საპასუხო მოსაზრება კოალიციის მხრიდან. ხშირად ისმის ბრალდებები ქართული

ოცნების მისამართით, რომელიც ხშირად უპასუხოდ რჩება. შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ საიტის რედაქცია მიზანმიმართულად ეწევა მიკერძოებული და დაუბალანსებელი ინფორმაციების გავრცელებას.

18-22 სექტემბერს ინფორმაციები გაშუქდა მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან მოწოდებული პრეს-რელიზების მიხედვით, ოპოზიციური პარტიების მხრიდან შეფასებები არ დაფიქსირდა. მხოლოდ 20 სექტემბერს გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომელიც მოუწოდებდა საზოგადოებას სიმშვიდისაკენ. მომდევნო დღეებში კი საიტზე ისევ ინტენსიური გახდა პრეზიდენტის მიმართვების და ოფიციალური სტრუქტურების განცხადებების გავრცელება.

## **liberali.ge**

**liberali.ge**-ს საიტზე მონიტორინგი ხორცილდება ახალი ამბების და სტატიების ბლოკში. მონიტორინგისათვის შერჩეულ პოლიტიკურ საარჩევნო სუბიექტებზე ამ ორ ბლოკში არის ძირითადად საუბარი.

ახალი ამბების ბლოკში ძირითადად ნიუსის ტიპის მასალებს ვხვდებით. თემატიკა ერთფეროვანია.

გამოიკვეთა რამდენიმე წამყვანი თემა ამ პერიოდში: საარჩევნო დარღვევები - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ხელისუფლების მიერ და თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. ასევე, ბოლო დღეებში 18-22 სექტემბერს გამოქვეყნებული კადრების მიხედვით ციხეში არსებული ვითარება.

სტატიები ფაქტებზე დარდნობით არის აგებული და ჰყავს ერთზე მეტი წყარო. არ გვხვდება არაეთიკური გამონათქვამები. სტატიები დაცლილია სუბიექტურობისაგან, მკვეთრად არის გამიჯნული ფაქტი და კომენტარი. თუმცა სასჯელაღსრულებით სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გაშუქებისას ხშირი იყო მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მოწოდებული მასალები, რომლებიც საჭიროებდა დამატებით დაზუსტებას.

**liberali.ge**-ს ვებგვერდზე ყველაზე მეტი მოცულობა დაეთმო მონიტორინგის სუბიექტებს შორის მთავრობას (38%), ნაციონალური მოძრაობას (21%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (18%). სუბიექტი მთავრობა გულისხმობს ძირითადად მმართველი გუნდის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, საკადრო ცვლილებებს.

**liberali.ge**-ის სტატიებში ჟურნალისტის ტონის მონაცემების შეჯამების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მასალებს მხოლოდ ნეიტრალური ტონით ამზადებენ. განსხვავებული ტონი გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც



თავად რესპონდენტები და ციტატების ავტორები საუბრობენ. სწორედ, ამიტომ 18-22 სექტემბრის მოვლენებმა განაპირობა მკვეთრად ნეგატიური ტონი მთავრობის (40%) და პრეზიდენტის (41%) მიმართ. არსად გვხვდება პოზიტიური ტონით გაშუქებული მასალა.

18-22 სექტემბერს საიტი გადავიდა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე. ამ პერიოდში მასალები ინტენსიურად თავსდება, იყო დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევებიც, თუმცა დღის ბოლოს შემაჯამებელ სტატიაში სრულყოფილად და ამომწურავად იყო ხოლმე გაშუქებული დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენები.

თავდაპირველად საიტზე განთავსდა ინფორმაცია ნაცემი პატიმრების შესახებ, რომელიც გადამოწმების შემდეგ არ დადასტურდა, სათაურით „**გლდანის ციხეში პატიმრები ნაცემები არიან**“ (19 სექტემბერი). თუმცა შემდეგ მალევე განთავსდა ვებზე უკვე დაზუსტებული ინფორმაცია : სახალხო დამცველის წარმომადგენელთაწმეხვედრისასპატიმრებმა: გიგიამაშუკელმა, გიორგიბექაურმადაიურიხაჩატუროვმაგანაცხადეს, რომდღეს, 19 სექტემბერს, დაახლოებით 18 საათისშემდეგშეხვედნენოჯახისწევრებს. მათჰქონდათრიგგარეშეპაემანი, რომელიც 15 წუთიგაგრძელდა. პატიმრებისგანცხადებით, მათმიმართსიტყვიერანფიზიკურშეურაცხყოფასადგილიარჰქონია, ჯანმრთელობასარუქივიან, ზოგადადდაწესებულებაშისიმშვიდეადაამეტაპზესახალხო დამცველისდახმარებასარსაჭიროებენ (19 სექტემბერი)

**liberali.ge**-ს მკითხველს აქვს საშუალება გაეცნოს საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის აქტივობებს, პოზიციებს. თუმცა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განხილვა და სიღრმისეული ანალიზი არ გვხვდება. ძირითადი აქცენტები გადატანილია საარჩევნო საკითხების დარღვევებზე.

**news.ge**

*ვებ-გვერდზე გვხვდება ძირითადად მოკლე, ინფორმაციული სახის სტატიები.*

*სტატიებში ხშირად იგრძნობა ბალანსის ნაკლებობა; ხშირად რჩება ამა თუ იმ მხარის ბრალდება პასუხგაუცემელი.*

*პირველ სამ სუბიექტს შორის გვევლინება „ქართულ ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და მთავრობა მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით.*

ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი მოცულობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეთმობა. დანარჩენი ოპოზიციური პარტიები მკვეთრად ჩამორჩებიან გაშუქების კუთხით. ამ მხრივ ლიდერობენ მხოლოდ „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“.

ვებ-გვერდი გამოირჩევა პოლიტიკური სუბიექტების/ლიდერების Facebook გვერდებზე განთავსებულ ოფიციალურ ინფორმაციასა თუ ე.წ. სტატუსზე ახალი ამბის აგებით; შეინიშნება ასევე სტატიაში სხვადასხვა ვებ-ფორუმების მომხმარებლების კომენტარების გამოყენების ტენდენციაც.

ვებ-პორტალზე ძირითადად ინფორმაციული ტიპის მოკლე სტატიები გვხვდება, რომლებშიც მინიმალურია ანალიზის/მიმოხილვის დონე. ვინაიდან ვებ-გვერდი ახალი ამბების საინფორმაციო პორტალს წარმოადგენს, ფაქტებსა და მოვლენებზე დაფუძნებული გაშუქება სტატიებში არსებითი ტენდენციაა. თუმცა, მონიტორინგის განმავლობაში ვხვდებით კონკრეტულ მაგალითებს, სადაც ბალანსი ან ფაქტების ინტერპრეტაცია სადავოა.

ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე თითქმის თანაბრად გადანაწილდა სახელისუფლებო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. მასზე მთლიანი გაშუქების 27% მოდის, მომდევნო ორი სუბიექტი, რომელთაც სხვებთან შედარებით მეტი დრო დაეთმოთ, თუმცა მათი გაშუქების მაჩვენებლები ტოლია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მთავრობა არიან. მას საერთო გაშუქების 16-16% დაეთმოთ. პრეზიდენტს ვებ-გვერდზე მთლიანი გაშუქების 6% დაეთმო.

სტატიების ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში გაშუქდა (82%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური გაშუქების ტონიც (2% და 17%). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში დაფიქსირდა 20%-ნეგატიური, 8%-პოზიტიური, ხოლო 72%-ნეიტრალური ტონი. შედარებით მცირე მოცულობის ნეიტრალური ტონით გაშუქდა მთავრობა – 68%, რომელთან მიმართებაშიც გაშუქების ტონის 28%-ნეგატიური, ხოლო 4% – პოზიტიურია.

სათაურების თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია. კერძოდ, უფრო ხშირად, სათაურად მოყვანილია ამა თუ იმ რესპონდენტის ფრაზა და არ ჩანს ვინ არის ამ ფრაზის ავტორი. საგულისხმოა, რომ ასეთი სათაური-ფრაზები, როგორც წესი, მტკიცებითი ფორმისაა და შეიცავს ან სხვა სუბიექტის მიმართ ბრალდებას, ან თავად ფრაზის ავტორის შესახებ მტკიცებითი ფორმის აზრს. მეორე ტენდენცია ამ მხრივ, თავად ჟურნალისტის ორიგინალურ მიგნებებშია და ზოგიერთ სათაურში ვლინდება სტატიის ავტორის შეფასებითი მსჯელობები.

მაგალითად, სათაური – „დაუნ ვი NDI“ (12 სექტემბერი), რომელიც სათაურად აქვს სტატიას შალვა ნათელაშვილის აშშ-ში ვიზიტის შესახებ, წარმოადგენს ჟურნალისტის ირონიულ მითითებას ლეიბორისტული პარტიის ლიდერის ბოლო ვიზიტზე აშშ-ში სადაც მან აშშ-ს ხელისუფლებას მიხეილ საკაშვილის პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტისაკენ მოუწოდა ფრაზით „დაუნ ვი დიქთებით“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტმა სათაურით შეფასებითი აქცენტი გააკეთა ლეიბორისტული პარტიის მიდგომაზე NDI-ს მიმართ.

**„საქართველოს დაადგა ნათელი ივანიშვილის მეთაურობით“** (18 სექტემბერი) – სტატიაში ვკითხულობთ, რომ ლეიბორისტული პარტიის რამდენიმე წევრი ივანიშვილს მიემხრო. სწორედ ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის ეს ფრაზა, რომელიც ჟურნალისტმა სათაურად გამოიტანა, თუმცა შინაარსით იგი სათაურისათვის შეუსაბამოა.

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-პორტალზე წარმოდგენილ სტატიებს ახლავს თან, უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრალურია და კავშირშია იმ თემასთან, რომელზეც სტატიაშია საუბარი.

სტატიებში ძირითადად დაცულია ფაქტების სიზუსტე, უფრო იშვიათად - წყაროთა ბალანსი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სტატიას, მეორე მხარის კომენტარი სხვა მოგვიანებით განთავსებულ მასალაში მოჰყვება. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, სიტუაციას ბევრად ვერ ცვლის, ვინაიდან მკითხველი კონკრეტული ამბის სხვადასხვა მხარის მოსაზრებებს ცალკეულ სტატიებში ძებნას ვერ დაუწყებს.

უფრო ხშირად სტატიებში შესაბამისობის პრობლემას არ ვაწყდებით. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში მაინც შეგვხვდა, რამდენიმე სტატია, რომლებზე ყურადღების გამახვილებაც საჭიროდ ჩავთვალეთ.

**"ოცნებამ" ირაკლი ლაბაძის ტიტული ჩაასწორა** (5 სექტემბერი) – სტატიაში საუბარია, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ირაკლი ლაბაძე შეცდომით მოიხსენია მსოფლიო ჩემპიონად ჩოგბურთში, შემდეგ კი ეს შეცდომა შეასწორა. ჟურნალისტმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ ამ შემთხვევაში რელევანტური იქნებოდა სოციალური ქსელების მომხმარებელთა კომენტარების ჩართვა და თანაც მხოლოდ ისეთების, რომლებიც ამ შეცდომას აკრიტიკებდნენ: "ფეისბუქისა" და თბილისის ფორუმის მომხმარებლები წერდნენ, რომ ირაკლი ლაბაძე მსოფლიო ჩემპიონი არ არის: "მსოფლიო ჩემპიონი სად იყო ეგ PLAY STATION-ზე?", "რაის ჩემპიონია? ყველაზე დიდი მიღწევა აგასისთვის მოგება აქვს", 41-ე ჩოგანი იყო კარიერის საუკეთესო შედეგი", "მსოფლიოში მზის სისტემაში?", "დღეს საერთოდ არ გვყავს კაცი ჩოგბურთელები და ისტორიაში ზოგადად ყველაზე ცნობილი ნამდვილად არ არის“, კარგი ბიჭია ისე, აგასის მოუგო ერთხელ"- წერენ იუზერები“ - ვკითხულობთ სტატიაში.

ჟურნალისტის ენის შეუსაბამობა ვებ-გვერდზე განთავსებულ სტატიათა უმრავლესობაში არ შეინიშნება, თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები ძირითადად უმეტესად „ქართული ოცნების“ ან მათთან დაკავშირებული პირების მისამართით ფიქსირდება, თუმცა არამხოლოდ. მაგ: „წყალტუბოში "მეოცნებებს" აშინებენ" (10 სექტემბერი), „5-ისაგან გაფცქვნილი მიკროავტობუსები“ (20 სექტემბერი)

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ერთი უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ვებ-გვერდმა პრეზიდენტის გამოსვლას „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე 639 სიტყვიანი სტატია დაუთმო (როგორც წესი, სტატიების ზომა არ სცილდება 200 სიტყვას).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „მეცხრე არხისა“ და „მაესტროს“ მიერ სკანდალური პატიმართა წამების კარდრების გავრცელების შემდეგ, ვებ-გვერდზე საგრძნობლად იმატა სტატიების სიხშირემ, თუმცა გაშუქების ტონი ხელისუფლების მიმართ მკვეთრად ნეგატიური არ გამხდარა (რაც აშკარად შესამჩნევი იყო რიგი ვებ-გვერდების შემთხვევაში). ასევე შესამჩნევი ტენდენცია იყო ის, რომ პირველივე სტატიაში, რომელიც ამ კადრებს მიეძღვნა უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა შსს-ს მიერ თავდაპირველად გამოქვეყნებულ ვიდეო მასალაზე, ვიდრე მოგვიანებით ტელეკომპანიების მიერ გავრცელებულზე. გარდა ამისა, წამების ფაქტებზე კომენტარით ვებ-გვერდი ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნებისაგან“ ინტერესდებოდა.

pressa.ge

*საიტ ზენიუსებისგარდაგანთავსებულიაინტერვიუებიდასტატიები.. მონიტორინგისპერიოდშიმოკლე, ინფორმაციები იყო მცირე რაოდენობით, ხოლო*

*სტატიებიშიიცავდაჟურნალისტისმსჯელობებსდამოსაზრებებს..*

*ყველა ზემეტისიტყვებისრაოდენობადაეთმოკოალიცია „ქართულოცნებას“.*

*ქართულიოცნებისმიმართფიქსირდებაუმეტესადნეგატიურიტონიდაიშვიათადნეიტრალური.*

*ამსაიტისჟურნალისტებირიგშემთხვევაშიყენებენარაეთიკურგამოთქმებსსხვადასხვასუბიექტისმიმართ, ძირითადად , ქართულიოცნებისორილიდერის - ბიძინაივანიშვილის და კოალიციის მაჟორიტარების მისამართით.*

რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით ვებ გვერდზე პროცენტული მაჩვენებელი (სიტყვების რაოდენობა) თანაბრად გადაბნაწილდა კოალიცია ქართული ოცნებას (31%) და მთავრობას შორის (30%), ასეთი დიდი

მაჩვენებელი არც ერთ სხვა პოლიტიკურ სუბიექტთან მიმართებაში არ გამოკვეთილა. დიდი სხვაობაა მომდევნო სუბიექტების პროცენტულ მაჩვენებლებთან შედარებით.

სუბიექტის ტონის მიხედვით გამოიკვეთა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 75 % ნეგატიური და 25 % ნეიტრალური აქვს, ხოლო მთავრობას 32% ნეგატიური და 68% ნეიტრალური.

სტატის სათაურები უმეტესად ნეგატიური ხასიათისაა, შეიცავს ირონიას და შეურცხმყოფელ ანალოგიებს, მეტაფორებს ქართული ოცნების მისამართით, მაგ: **ვამბობთბიძინას - ვგულისხმობთასლანს (4 სექტემბერი) , გამოყენებულიადაგადგებულისზვიადური (7 სექტემბერი).**

ვებგვერდი ილუსტრაციების თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ ყველა ფოტოს ახლავს ნეგატიური ხასიათის კომენტარი. თავად ფოტო ნეიტრალურია, ხოლო კომენტარი ყოველთვის უარყოფით კონტექსტშია. იგივეს ვერ იტყვით სხვა სუბიექტებთან დაკავშირებით, მათი ფოტოები მხოლოდ ნეიტრალური ტონის შემცველია.

სტატიები ძირითადად ჟურნალისტის ანალიზს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად დაფუძნებულია დაუდასტურებელ ფაქტებზე, ვარაუდებზე და ეჭვებზე. მაგ: ივანიშვილისგარემოცვასთანდაახლოებულიწყაროსინფორმაციით.

სტატიის ენა ხშირად არაეთიკურია, არის დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, უდანაშაულობისპრეზუმციისდარღვევადა.ა.შ.

სხვადასხვა ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სტატიების ეპითეტების შირადემთხვევაერთმანეთს, მაგ: **ბიძინა ივანიშვილი მაძალიანსასაცილოსაარჩევნოსიაგამოაქვეყნა. ამკაცმა, კიდევერთხელდადასტურარომპილიტიკაშიბეცია.**

**გარდაიმისარომმანარცისქვეყნისთვისრაუფროპრიორიტეტულია, ისიცარსცოდნია, საარჩევნოსისშედგენისდროსვინუფროპრიორიტეტულიუნდაიყოს. (7სექტემბერი)**

**ზვიადური, იქნებჯერვერცმიხვდა, მაგრამვიმედოვნებთრომ "გონებაგაეხსნება" დაპირველოქტომბერსმინცდარწმუნდებაიმაში, რომისბორისისფავორტიკიარა, გამოყენებულიდეკორაციაა... არჩევნებისშემდეგ, 87-ე -ზე "განთესილი" ზვიადური აღარცოლიგარქსგაახსენდება...**

თუმცა, საზოგადოების მესხიერებაში ყოველთვის დარჩება მოგონება იმისა, თუ როგორ გაცვალა ზვია და ურმა მეგობრები და კოლეგები ბატონი ბორისის მიერ გადაგდებულ "ძვალზე"... (7 სექტემბერი)

ვერვიტყვით, მსგავსი ტყუილისთვის ბიძინას ცხვირი გაეზრდება—თქო, მაგრამ ფაქტია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ამგანცხადებამსენნატორებში გაკვირვება გამოიწვია (07 სექტემბერი)

საქმის გახლავთ, რომ ლერიხა ბელოვის, როგორც ასეთის ულიერი არსების, ინდივიდის, პიროვნების, მოქალაქის შემოსვლა ქვეყნის ტერიტორიაზე, არ ფიქსირდება. (12 სექტემბერი)

### *civil.ge*

*civil.ge-ს სტატიები ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკური ნორმების მაღალი პროფესიული დონით არის მომზადებული. ვებ-გვერდი გამოირჩევა საკითხების დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქებით. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების გავრცელება და ამ საკითხს civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა. განსაკუთრებით ვრცელი სტატიები ეთმობოდა პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებს, ასევე შუქდებოდა საპროტესტო აქციები და საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია საქართველოში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით.*

მონიტორინგის პერიოდში civil.ge ყველაზე ინტენსიურად აშუქებდა მთავრობას (36%), პრეზიდენტს (29%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (18%). Civil.ge-ზე სუბიექტების გაშუქება ძირითადად ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვხვდებოდა მთავრობის (18%) შესახებ მომზადებულ სტატიებში. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების გავრცელება და შესაბამისად ამ პერიოდში გახშირდა მთავრობისა და პრეზიდენტის შესახებ მომზადებული სტატიები.

civil.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურები უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურ ტონს ატარებდა. მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ ყოფილა შემთხვევები, რომ სტატიის სათაურს გამოეხატოს ტენდენციური დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ. ასევე, არ ყოფილა შემთხვევები, რომ სათაურში გამოხატულიყო დისკრიმინაციული ან არაფორმალური საუბრის ელემენტები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდში civil.ge-ზე საერთოდ არ შეგვხვედრია ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები. ასევე, არ ყოფილა ჟურნალისტის მხრიდან დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის ან ე.წ. სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

civil.ge-ს სტატიები უმეტეს შემთხვევებში ფაქტებზე დაყრდნობით იყო მომზადებული. თითქმის არ შეგვხვედრია შემთხვევა, რომ რედაქციის ან კონკრეტული ჟურნალისტის მოსაზრებები და კომენტარები არ ყოფილიყო დამოწმებული ფაქტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სტატიების დასკვნითი ნაწილიც ძირითადად პასუხობდა მთლიანი სტატიის სტრუქტურას და მის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენდა. ასევე, არ ყოფილა ჟურნალისტის მხრიდან ფაქტებით მანიპულირების შემთხვევები; ჟურნალისტის მსჯელობა არ სცდებოდა მოცემული ახალი ამბის კონტექსტს და არ ხდებოდა კონკრეტული მოვლენის განზოგადება და განვრცობა რედაქციისათვის სასურველი რაიმე შეხედულების განმტკიცების მიზნით.

civil.ge-ს სტატიები უმეტეს შემთხვევებში სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით მზადდებოდა.

მონიტორინგის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაცია ანონიმური ან საექვო წყაროების მიერ ყოფილიყო მოწოდებული. ხშირად გვხვდებოდა ამონარიდები სხვადასხვა

civil.ge-ს სტატიებში წყაროთა ბალანსი უმეტეს შემთხვევაში დაცულია. მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეგვხვედრია სტატია, რომელშიც მოცემული იქნებოდა რომელიმე კონკრეტული სუბიექტის ცალმხრივი კრიტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების გავრცელება და ამ საკითხს civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა. განსაკუთრებით ვრცელი სტატიები ეთმობოდა პრეზიდენტიდა და მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებს, ასევე შუქდებოდა საპროტესტო აქციები და საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია საქართველოში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით.

## **tabula.ge**

tabula.ge-ზე განთავსებული მასალების უმრავლესობა საინფორმაციო სახისაა, ახალი ამბების განყოფილებაში იშვიათად გვხვდება ანალიტიკური სტატიები. საიტი ცდილობს საკითხების გაშუქებისას დაიცვას წყაროთა ბალანსი და გადაფაროს ყველა მიმდინარე მოვლენა. tabula.ge-ს ჟურნალისტების ტონი სტატიებში ძირითადად ნეიტრალურია და არ არღვევს ეთიკურ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, საიტი აქცენტები

სახელისუფლებო ინტერესების გატარებაში მაინც შეიმჩნევა. მთავარი თემების სხვადასხვა კუთხით გაშუქების პარალელურად უნდა აღინიშნოს სტატიებში გამოკვეთილი აქცენტები, რომელიც ხელისუფლების საქმიანობას პოზიტიური კუთხით წარმოჩენას უწყობს ხელს. რაოდენობრივი ანალიზისაგან განსხვავებით თვისებრივ ანალიზში ეს შესამჩნევია ტენდენციად.

tabula.ge-ს მონიტორინგის პერიოდში, ტექსტის მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი სივრცე დაეთმო მთავრობას - 31%, მომდევნო სუბიექტია „კოალიცია ქართული ოცნება“ - 21% და პრეზიდენტი - 20%.

ყველაზე მეტად ნეიტრალური ტონით გაშუქდა: მთავრობა - 31%, პრეზიდენტი - 20 % და „კოალიცია ქართული ოცნება“ -21%. ნეგატიური ტონის პროცენტული მაჩვენებელი ასე გამოისახა ცხრილში: ოპოზიცია (24%), პრეზიდენტი (24%), „კოალიცია ქართული ოცნება“ (23%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (20%)

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში **tabula.ge**-ზე გვხვდებოდა სტატიები, რომლებშიც მიმოხილულია მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. ამ პერიოდში საიტზე ჭარბობდა საინფორმაციო, საშუალო ზომის სტატიები. თემატიკა მოიცავდა: პარტიების წინასაარჩევნო კამპანიებს, სამინისტროების განცხადებებს, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს (ძირითადად NDI-ს), საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის განცხადებებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკითხებს და პოლიტიკური ლიდერების მიმართვებს.

თემატიკა მრავალფეროვანია და წარმოდგენილია როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციის მოსაზრებები.

tabula.ge-ზე განთავსებული სტატიების სათაურები მასალის მთავარ აზრს გადმოგვცემს. ნეიტრალური შინაარსის და აღწერილობითი ხასიათის არის, ხშირად რესპონდენტთა ციტატები სათაურებად არის გამოტანილი. გვხვდება დადებითი ან ნეგატიური ტონის სათაურებიც, მაგ: „სერგი კაპანაძე: ამერიკელი სენატორების ვიზიტი აშშ-ის საქართველოსადმი მხარდაჭერის დადასტურებაა“ (6 სექტემბერი). სტატიაში სამჯერ არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ ამერიკელი სენატორების ვიზიტი „უპრეცედენტო მხარდაჭერაა“ საქართველოსთვის. ჯერ სათაურში, შემდეგ ლიდში და ბოლოს თავად რესპონდენტის ციტატაში. სათაურში უარყოფითი ტონი მჟღავნდება შემდეგ მაგალითებში: „მაია ფანჯიკიძე: ნაციონალური მოძრაობა აგრძელებს ქვების სროლის პოლიტიკას“ (10 სექტემბერი) ან კიდევ „ჩიორა თაქთაქიშვილი: ივანიშვილის უარი სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა“ (10 სექტემბერი).



tabula.ge-ს სტატიებს ვიზუალური მასალა ნეიტრალური ხასიათის ახლავს ხოლმე ფოტოები ან გრაფიკები (გრაფიკები - საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანგარიშების გადმოსაცემად), მაგ: „NDI: მთავრობის გეგმის შესახებ 47%-მა იცის, ივანიშვილის გეგმის შესახებ – 22%-მა“ (5 სექტემბერი). tabula.ge-ს ვებ-გვერდზე ვიზუალურ მასალად გამოიყენება იმ ორგანიზაციის, პარტიისა თუ კოალიციის ლოგო, რომელზეც საუბრობს ჟურნალისტი. რამდენჯერმე მასალას თან ერთვის ვიდეოც, მაგ: „ფილარმონიასთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობს“ (19 სექტემბერი).

გვხვდება წყაროების მიხედვით დაუბალანსებელი სტატიები. ხშირად მასალა ეყრდნობა სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებულ განცხადებებს. მასალები საინფორმაციო სააგენტოების მასალების მსგავსად რესპონდენტების გარეშეა მოწოდებული.

ჟურნალისტის მკვეთრად გამოხატულ პოზიციას და მიკერძოებულ მიდგომას იშვიათად ვხვდებით. თუმცა, ზოგჯერ ჟურნალისტი არ ერიდება პოზიციის დაფიქსირებას. ვკითხულობთ სტატიას „forsa: ახალი რეიტინგები და ახალი მოთამაშე ქართულ კვლევით ბაზარზე“ (12 სექტემბერი). სტატიის დასაწყისში ლაპარაკია, რომ ამ ორგანიზაციის კვლევებმა აჩვენეს ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის მიმართ საზოგადოების დადებითი განწყობა, „გამოკითხულთა 43% ბიძინა ივანიშვილს მიემხრო და 33% - ვანო მერაბიშვილს...“. ამის შემდეგ ჟურნალისტი ყვება forsa-ს შესახებ და რამდენიმე მაგალითი მოყავს, სადაც ეს კომპანია სკანდალშია გახვეული. ჟურნალისტი თემას ისე შლის, რომ უნდობლობა გაგიჩნდეს ამ კომპანიის მიმართ და მოცემული შედეგებიც ეჭვქვეშ დააყენო. ხოლო ამის პარალელურად NDI-ის კვლევების საეჭვოობა არ განიხილება მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ ხშირად გამოთქვა ამ კვლევების მიმართ უნდობლობა.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ იშვიათად ვხვდებით ავტორის სუბიექტურ შეფასებებს. ამ ვებ-გვერდის ჟურნალისტების მხრიდან არ გვხვდება ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ პირდაპირი და გადამეტებული კრიტიკა.

**tabula.ge-ს** სტატიების ენა კორექტულია, არ გვხვდება არაეთიკური გამოთქმები და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია თუ არ ჩავთვლით თავად რესპონდენტების გამონათქვამებს.

**18 სექტემბერს** გაშუქებული ციხის ძალადობის კადრების გავრცელება tabula.ge-ს საიტის დღის წესრიგს არ დატყობია. განსაკუთრებული ცვლილებები არ შეიმჩნევა სტატიების რაოდენობის და მოცულობის თვალსაზრისით, როგორც ეს ზოგიერთ სხვა ვებ-საიტებზე მოხდა. თუ გადავხედავთ 18-22 სექტემბრის პერიოდს tabula.ge-ზე დავინახავთ, რომ ჭარბობს მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელთა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებები. მათი ძირითადი აქცენტები დასმულია „სასწრაფო

CDI - წინასაარჩევნომედიამონიტორინგი (16 ივლისი-3 სექტემბერი, 2012)

გამოძიებაზე“ - თუ როგორ რეაგირებს ხელისუფლება ამ ყველაფერზე და არა საზოგადოებრივი აზრის გამოხატველი შინაარსის მასალებსა და შეფასებებზე. ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციები შუქდება მოკლე საინფორმაციო ფორმით, თუმცა არის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სტატია: „ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილმა წამება და ქართველი კაცის გაუპატიურება მოიტანა“ (22 სექტემბერი). აქვე უნდა ითქვას, ამ პერიოდში tabula.ge-ში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატიის შესახებ, რომელიც რუსეთის მოსალოდნელ აგრესიაზე მიანიშნებს, მაგ: “საკაშვილი: რუსული მეთოდებით უნდათ, ხალხს არჩევნებზე იმპულსური გადაწყვეტილება მიაღებინონ“ (22 სექტემბერი), „ძალადობის დინოზავრები - „სამოქალაქო საზოგადოებობანას“ თამაშობენ“ (22 სექტემბერი). ძირითადად სახელისუფლებო მოსაზრებების ტირაჟირება ხდება და მკაფიოდ არ ჩანს საპირისპირო დამოკიდებულებები და შეფასებები. ყურადღების გამახვილება მიზანმიმართულად ხდება 90-იანი პერიოდის კრიმინალურ წარსულზე, მოქალაქეების წარსულში დაბრუნებაზე და არა სასჯელალსრულებით სისტემაში არსებულ დარღვევებზე.

#### onlinenews.ge

onlinenews.ge-ზე ძირითადად მოკლე საინფორმაციო სტატიები ქვეყნდება. საიტზე ჭარბობს ხელისუფლების აქტივობების შესახებ გაშუქებული მასალები. ჟურნალისტები ნეიტრალური ტონით აშუქებენ, თემატიკა ერთფეროვანია. გვხვდება ოპოზიციის შესახებაც ინფორმაცია, თუმცა რაოდენობრივი თვალსაზრისით ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით არათანაბრადაა გადანაწილებული. მასალების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, თუმცა შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ ერთიდაიგივე ინფორმაცია რამდენჯერმეა მოწოდებული სხვადასხვა ფორმით. საიტზე არ შეიმჩნევა ნეგატიური ტონი და არა ეთიკური გამონათქვამები. სტატიების უმრავლესობას ახლავს ფოტო. მასალების უმრავლესობაში აქცენტები კეთდება შემდეგ საკითხებზე: 1. მთავრობის საქმიანობის წარმატებები; 2. რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა; 3. ხელისუფლების მიერ საკუთარი შეცდომის აღიარება (ციხეში ძალადობის ამსახველი კადრების შესახებ); 4. საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის განცხადებების ხელისუფლების სასარგებლოდ გამოყენება (ნეიტრალური ტონის დაცვით). საიტის ძირითად სუბიექტად ხელისუფლება და მთავრობა გველინება. მცირე რაოდენობით გვხვდება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მასალებიც.

სუბიექტზე დათმობილი მოცულობის მიხედვით ყველაზე მეტი პროცენტი მთავრობას (40%) აქვს. შემდეგ მოდის პრეზიდენტი 30%-ით და „კოალიცია ქართული ოცნება“ მხოლოდ 10%. სუბიექტზე დათმობილი მოცულობა ტონის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ნეგატიური მაჩვენებელი - ოპოზიცია 73%, პარლამენტი 53%. ნეიტრალური ტონი: მთავრობა - 92%, კოალიცია ქართული ოცნება“ - 85%.

სტატიები მოკლე საინფორმაციო ხასიათს ატარებს, მაგ: „პრეზიდენტმა ყვარელში იუსტიციის სახლი გახსნა“ (16 სექტემბერი).

მასალების სათაურები გამომდინარეობს ინფორმაციის შინაარსიდან, ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა. გვხვდება ციტატების სხით გამოტანილი მთავრი აზრი სათაურში, სადაც ჟურნალისტი ტენდენციურობას ამჟღავნებს, მაგ: “უგულავა - გამოქვეყნებული ვიდეო-მასალით საზოგადოების თვალთახედვის არევას ცდილობდნენ“ (22 სექტემბერი). სათაურები ინფორმაციული ხასიათისაა და ადეკვატურად გამოხატავს მთლიანი მასალის მთავარ აზრს, „შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ეკა ზღულაძე შეასრულებს“ (20 სექტემბერი).

ილუსტრაციების მონიტორინგის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ყველა მასალას ახლავს ფოტო და არსად გვხვდება ნეგატიური, მაგ: „პრეზიდენტი გურიაში იმყოფებოდა“ (18 სექტემბერი).

ჟურნალისტები არ ცდილობენ ფაქტების გადამოწმებას და არც წყაროთა მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, არ უთითებენ წყაროს, მაგ: „ცაგურიასა და ალადაშვილს 10-10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ“ (2 სექტემბერი). მაგ:“რამაზ საყვარელიძე - ტულუმის დანიშვნა ნიჭიერი გადაწყვეტილება იყო“ (20 სექტემბერი);

საიტი არ იყენებს სიძულვილის ენას და ამ მხრივ ეთიკურ სტანდარტებს იცავს.

**onlinenews.ge-ს არ აუსახავს 18-22 სექტემბრის მოვლენები სრულფასოვნად. საიტზე მცირე დოზით არის მოწოდებული საპროტესტო აქციების და პატიმრების შესახებ ინფორმაცია. ამ პერიოდში ისევე ჭარბობს მთავრობის პოზიცია, რომელიც ცდილობს გადაფაროს თვითკრიტიკის და ადმინისტრაციულ ცვლილებების ხარჯზე მნიშვნელოვანი მოვლენები. საიტზე, ასევე, არ არის დაბალანსებულად გაშუქებული განსხვავებული პოზიციები ამ საკითხთან მიმართებაში. ძირითადად, აქცენტი კეთდება თამაზ თამაზაშვილის ბრალეულობის საკითხებზე.**

for.ge

*ვებ-გვერდზე გვხვდება ძირითადად გრძელი, ინფორმაციული ანალიტიკური ტიპის სტატიები. ასევე ხშირად გვხვდება ინტერვიუებიც.*

*სტატიებში ხშირად იგრძნობა ხელისუფლების მიმართ მკვეთრი კრიტიკა.*

*პირველ სამ სუბიექტს შორის გვევლინება „ქართულ ოცნება“, პრეზიდენტი და მთავრობა მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით.*

*ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი მოცულობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეთმობა. სტატიები, რომლებიც ჩვენი მონიტორინგის არეალში მოექცა ძირითადად მოცულობითი, ანალიტიკური ან შეფასებითი ტიპისაა. ასევე, ხშირად გვხვდება თარგმნილი სტატიები, რომლებიც ვებ-გვერდზე [www.foreignpress.ge](http://www.foreignpress.ge)-დან ხვდება. თავის მხრივ, ეს სტატიები ნათარგმნია სხვადასხვა უცხოური გამოცემებიდან.*

ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე თითქმის თანაბრად გადანაწილდა სამთავრობო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. ჟურნალისტის გაშუქების ტონის მიხედვით ყველაზე მეტი მოცულობის უარყოფითი ტონი მთავრობის მიმართ დაფიქსირდა, ხოლო დადებითი – კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ.

for.ge-მ ყველაზე მეტი მოცულობა მონიტორინგის სუბიექტებს შორის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუთმო. მასზე მთლიანი გაშუქების 36% მოდის. აღსანიშნავია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქების სიხშირე მკვეთრად არ განსხვავდება მთავრობის გაშუქების სიხშირის მაჩვენებლებისაგან, რომელსაც საერთო მოცულობის 33% დაეთმო. რაც შეეხება პრეზიდენტს, მას ვებ-გვერდზე გაშუქების 11% დაეთმო. ვებ-გვერდზე შესამჩნევად ნაკლები მოცულობა ეთმობა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, თუმცა „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო გაშუქების 9% დაეთმო.

სტატიების ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში გაშუქდა (94%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა ასევე დადებითი და უარყოფითი გაშუქების ტონიც (5% და 4%). მთავრობის შემთხვევაში მაჩვენებელი რადიკალურად განსხვავებულია, ვინაიდან სუბიექტის ნეგატიური ტონით გაშუქების მაჩვენებელმა 77% შეადგინა, ხოლო დადებითმა – 0%. ნეგატიური ტონით გაშუქების ასეთივე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა პრეზიდენტის (64%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართაც (72%).

ჟურნალისტის ტონის ჯამური ცხრილიდან გამოყოფის შედეგად სუბიექტების მიმართ ნეგატიური ან პოზიტიური ტონი ფიქსირდებოდა სტატიების ავტორების მხრიდანაც. ყველაზე მეტად ნეგატიური ტონი ჟურნალისტის ტექსტში იკვეთება მთავრობის მიმართ (81%), იგივე მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ შეადგენს – 76%-ს, ხოლო პრეზიდენტის მიმართ – 58%-ს. პარალელურად, ჟურნალისტის მხრიდან დადებითი ტონით გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ შეადგენს 4%-ს, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ – 0%-ს.

ვებ-გვერდზე გვხვდება როგორც მეტ-ნაკლებად ნეიტრალური, ისე მკაფიოდ შეფასებითი შინაარსის შემცველი სათაურები. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ერთი კონკრეტული მხარის წინააღმდეგ უარყოფითი ტონით გამოირჩევიან და ეს მხარე უფრო ხშირად მთავრობა ან მმართველი გუნდია. მაგალითად, სათაურით – **“სააკაშვილის ახალი სახეები – ეკა და ხათუნასმაგიერი“** (22 სექტემბერი) – ხელისუფლებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ სტატიაა დასათაურებული. ასევე, სათაურით – **“რამ გააშიშვლა შვედი დიპლომატი“** დასათაურებულია შვედი მაღალჩინოსნისა და მისი განცხადებების შესახებ სტატია. (13 სექტემბერი).

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-პორტალზე წარმოდგენილ სტატიებს ახლავს თან, უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრალურია და არსობრივად უკავშირდება თემას, რომელზეც სტატიაშია საუბარი. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა გარკვეული რაოდენობის ვიზუალური მასალა, რომელიც ზოგჯერ გარკვეული ქვეტექსტების შემცველია მთავრობის წარმომადგენელთა და მათ მხარდამჭერთა მიმართ (13 და 20 სექტემბერი).

ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ For.ge-ზე განთავსებულ სტატიებში ბალანსი იშვიათად ფიქსირდება. აქვე გასათვალისწინებელია, ინტერვიუს ტიპის სტატიები, რომლებშიც ბალანსი ფორმატიდან გამომდინარე ვერ იქნება დაცული და სხვა ნათარგმნი სტატიებიც. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ უფრო ხშირად ვხვდებით წყაროთა ბალანსს, ვიდრე თავად ვებ-გვერდის ჟურნალისტების (Stuff Writer) სტატიებში, რომელთა სტატიები უმეტესად დაფუძნებულია ანონიმურ წყაროებზე და თავად ავტორის ვარაუდებზე.

მონიტორინგის პერიოდში შევხვდით სტატიას, რომელიც კარგი მაგალითია ბალანსის, შესაბამისობისა და ჟურნალისტის ენის პრობლემის თვალსაზრისით. სტატიაში **„პოლიტიკური ვაჭრობა თუ სომხური ინტერესების ლობირება საქართველოს ტერიტორიაზე?“** (17 სექტემბერი) საუბარია ჯავახეთში მცხოვრები სომხების მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, სადაც ისინი წინასაარჩევნოდ არსებულ პრობლემებზე საუბრობენ. სტატიაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რესპონდენტი, რომელიც ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციულ განცხადებებს აკეთებს და არ ჩანს მოპასუხე. როგორც ჩანს, დისკრიმინაციული განცხადებები არც ჟურნალისტისთვისაა მიუღებელი: „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თანმჯდომარე, ზაალ კასრელიშვილი კი ამბობს, რომ ეს ადამიანები უბრალოდ წინასაარჩევნოდ ვაჭრობენ, სურთ, რომ სასაქონლო სახე მიიღონ, რათა ან ოპოზიციისთვის გახდნენ საჭირო, ან ხელისუფლებისთვის“ - ვკითხულობთ სტატიაში ჯავახეთში მცხოვრები სომხების შესახებ.

ზოგადად, შესაბამისობის პრობლემა შესამჩნევია for.ge-ს სტატიების უმრავლესობაში. პრობლემის ამოსავალი წერტილი ამ შემთხვევაში ის არის, რომ სტატიები ხშირად დაფუძნებულია არა ფაქტებზე, არამედ სტატიის ავტორის ვარაუდებზე. შესაბამისად, გამოტანილი დასკვნებიც არა ფაქტებზე, არამედ ვარაუდებზეა დაფუძნებული. ინტერვიუებში ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვები ხშირად ემოციური, მის პირად მოსაზრებებზე დაფუძნებული და შეფასებითია.

ვებ-გვერდი გამოირჩევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მმართველი გუნდის მიმართ კრიტიკული სტატიებით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ სტატიებს ლოგიკური დასაყრდენი, მსჯელობა, საფუძველი აკლია. ამის საპირისპიროდ, სტატიებში ხშირად იკვეთება კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

სერიოზული პრობლემა ფიქსირდება სტატიების ავტორთა ენის თვალსაზრისითაც. ავტორები ხშირად მიმართვენ სიძულვილის ენას, ირონიას.

ციხეში პატიმართა წამების გახმაურებული კადრების გავრცელების შემდეგ, ვებ-გვერდის მუშაობის სტილი არსებითად არ შეცვლილა, თუმცა არაერთი სტატია დაეთმო აღნიშნულ თემას. ეს სტატიებიც ისევე იზიარებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ გაშუქების ტენდენციებს, როგორც ყველა დანარჩენი.

### ***Dfwatch.net***

***Dfwatch.net გამოირჩევა სტატიების მრავალფეროვნებით; გარდა პოლიტიკური პარტიებისა, ვებ-გვერდი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაშუქებას. ასევე, საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა მედიის პრობლემებს, მაგალითად must carry-ს განხილვას და ტელეკომპანია „მანეტროს“ ანტენების დაყადაღებას. Dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულია და მონიტორინგის პერიოდში საერთოდ არ ჰქონია ადგილი ჟურნალისტური სტანდარტების უხეშ დარღვევებს. პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-მასალის გავრცელების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს dfwatch.net-მა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო და ამ თემატიკის გაშუქებაც ხდებოდა მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით.***

მონიტორინგის პერიოდში Dfwatch.net-ზე ყველაზე მაღალი ინტენსივობით მთავრობა გაშუქდა (41%). აღსანიშნავია, რომ dfwatch.net-მა სკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო საერთაშორისო ორგანიზაციების გაშუქებას (21%); ძირითადად სტატიები ეხებოდა NDI-ს საქმიანობას, შეგვხვდა ვრცელი ინტერვიუც ლუის

ნავაროსთან. სუბიექტები უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურ ტონში შუქდებოდა, უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (25%) აქვს, რაც განპირობებულია იმით, რომ მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-მასალის გამოქვეყნება, რასაც საწოგადიების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა მთავრობის მიმართ.

dfwatch.net-ზე მონიტორინგის პერიოდში უმეტესად გვხვდებოდა საშუალო ზომის სტატიები. სტატიები ძირითადად წარმოადგენდა ახალი ამბების მიმოხილვას, რასაც ერთვოდა ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარები. dfwatch.net იშვიათად გვთავაზობდა მოკლე, მხოლოდ ინფორმაციული ტიპის სტატიებს; უმეტეს შემთხვევებში სტატიები ანალიტიკური ხასიათის იყო, ხდებოდა საკითხის სიღრმისეული მოკვლევა, ანალიზი, კრიტიკული შეფასებები.

Dfwatch.net-ზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურები უმეტეს შემთხვევებში ნეიტრალურ ტონს ატარებდა, ასევე ნეიტრალური ტონის იყო ვიზუალური მასალაც. Dfwatch.net-ის სტატიებს ხშირ შემთხვევებში არ ახლდა თანდართული ფოტო-მასალა; ხოლო როდესაც სტატიებს ერთვოდა ფოტო-მასალა, ეს ფოტოები ყოველთვის ნეიტრალური ხასიათის იყო და არ გამოხატავდა რედაქციის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ Dfwatch.net-ზე განთავსებულ ფოტო-მასალას ხშირად მითითებული ჰქონდა, რომ ეს მასალა მიწოდებულია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ dfwatch.net-ზე საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზე იყო დაცული გაშუქების ბალანსი. დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net-ზე არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მიკერძოებულობა ან ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევა. ასევე, აღსანიშნავია რომ dfwatch.net-ზე მონიტორინგის პერიოდში საერთოდ არ ჰქონია ადგილი ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევას, მაგალითად დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას, ე.წ. სიძულვილის ენის გამოყენებას ან გადამეტებულ კრიტიკას ამა თუ იმ სუბიექტთა მიმართ.

პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-მასალის გავრცელების შემდეგ dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულად აშუქებდა მოვლენების განვითარებას. შუქდებოდა როგორც საპროტესტო აქციები, ასევე პრეზიდენტისა და მთავრობის განცხადებები მომხდართან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენების გაშუქებისას დაცული იყო ბალანსი და ადგილი არ ჰქონია მოვლენების ცალმხრივ გაშუქებას. არაერთი სტატია მიემდგვნა სხვადასხვა ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს მომხდართან დაკავშირებით.

*პირველ სამ სუბიექტს შორის გვევლინება „ქართულ ოცნება“, პრეზიდენტი და მთავრობა მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით.*

*ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი მოცულობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო გარდა „ქართული ოცნების“ ოპოზიციური პარტიებიდან გაშუქდა მხოლოდ ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა, რომელსაც საერთო გაშუქების 1% დაეთმო*

*ვიდეოები, რომლებიც საიტზე იდება, ძირითადად, მოკლე, ინფორმაციული ტიპისაა.*

*ბრიფინგის/პრეკონფერენციის ჩანაწერებს წარმოადგენს.*

*ვებ-პორტალზე მონიტორინგის პერიოდში კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული აქტივობები ინტენსიურად შუქდებოდა . ჟურნალისტის ენის შეუსაბამობა ვებ-გვერდზე განთავსებულ არცერთ ვიდეომასალაში არ დაგვიფიქსირებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ვიდეოების გარკვეული ნაწილი კომენტარის გარეშე განთავსებული ან მხოლოდ რესპონდენტის კომენტარია.*

*ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე არათანაბრად გადანაწილდა სამთავრობო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. ჟურნალისტის გაშუქების ტონის მიხედვით ყველაზე მეტი მოცულობის ნეგატიური ტონი მთავრობის მიმართ (სპეციფიკაციის გარეშე) დაფიქსირდა. ჟურნალისტის/ვიდეოს ავტორის ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია.*

palitratv.ge-ზე ყველაზე მეტი მოცულობა მონიტორინგის სუბიექტებს შორის მთავრობას დაეთმო. მასზე მთლიანი გაშუქების 44% მოდის. მომდევნო სუბიექტი, რომელსაც სხვებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო – კოალიცია „ქართული ოცნება“. მას საერთო გაშუქების 25%, დაეთმო. 14% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 12% - პრეზიდენტს.

ვიდეო მასალის ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესად ნეიტრალურ ტონში გაშუქდა (79%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური გაშუქების ტონიც (5% და 16%). ყველაზე დიდი რაოდენობის ნეგატიური ტონით მთავრობა გაშუქდა (73%). „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში დაფიქსირდა 25%-ნეგატიური, 14%-პოზიტიური, ხოლო 61%-ნეიტრალური ტონი. ჟურნალისტის ტონის მონაცემების შეჯამებისას სუბიექტების მიმართ ნეგატიური ტონი ვიდეომასალის ავტორების მხრიდანაც დაფიქსირდა. ყველაზე მეტად ნეგატიური ტონი ჟურნალისტის ტექსტში იკვეთება მთავრობის მიმართ (77%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ (0%).



ვებ-გვერდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათაურები ძირითადად მიუკერძოებელი და ნეიტრალურია.

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-გვერდზე თავსდება, როგორც წესი ასახავს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის პრესკონფერენციას, ბრიფინგს, კომენტარს, განცხადებას. თუმცა არის ისეთი მასალებიც, სადაც კადრები უკომენტაროდაა მოცემული. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა საქმე კონკრეტული სახის დაპირისპირებასთან ან ფართომასშტაბიან აქტივობასთან გვაქვს.

ზოგადად, მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეგვხვედრია მასალა, რომელზე შეიძლება ითქვას, რომ დაუბალანსებელია. თუმცა, მაინც გვხვდება ვიდეომასალები სადაც სასურველი იქნებოდა ბალანსის და მეორე მხარის პოზიციის დაფიქსირება ინფორმაციის მეტი დამაჯეროებლობისათვის.


ვინაიდან ვებ-პორტალზე ძირითადად ინფორმაციული ტიპის მოკლე ვიდეომასალები იდება, რომლებშიც მინიმალურია ანალიზის/მიმოხილვის/შეფასების ხვედრითი წილი, უფრო ხშირად მათში შესაბამისობის პრობლემას არ ვაწყდებით. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში მაინც შეგვხვდა, რამდენიმე ვიდეო, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს არ ატარებს და ნაკლებ რელევანტური მასალაა. მაგ: **„პროვოკაციული წინასაარჩევნო ვიდეორგოლი "კოორდინატორი" (6 სექტემბერი). ვიდეო უბრალოდ წარმოადგენს ხსენებული წინასაარჩევნო ვიდეორგოლს და გაუგებარია, რატომ უნდა მოხვდეს საინფორმაციო სააგენტოს ვებ-გვერდზე ახალ ამბებს შორის.**

ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ფაქტებზეა დაფუძნებული. არსად გვხვდება ეფექტებზე გათვლილი და დამონტაჟებული მასალა. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა ტენდენცია, რომ ვებ-გვერდი ხშირად უბრალოდ იღებს და ათავსებს „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ ან „მეცხრე არხის“ მასალას (ვიდეოს). შედეგად გაუგებარია ფაქტების სიზუსტე, ანუ რამდენად სანდო იყო ის ინფორმაცია, რომელიც ხსენებულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს. ამის კარგი მაგალითი იყო წამების გახმაურებული კადრების გავრცელების შემდეგ განთავსებული „კურიერის“ ვიდეო სადაც ჩანს, თუ როგორ გადააბარებს ხელისუფლებას ახალაია ზღულაძეს. ეს ვიდეო Plitratv.ge-მ „რუსთავი2“-სგან აიღო და თავის გვერდზე განათავსა, თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ თავად კადრების ნამდვილობასა და სიახლის (არსებულ დროსთან შესაბამისობის) შესახებ აქტიური დისკუსია გაიმართა და ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ეს კადრები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ვებ-გვერდის ადმინისტრაცია მუდმივად ამოწმებდეს თუ რა ტიპის ინფორმაცია თავსდება მათ ვებ-გვერდზე.


დიაგრამა: მოცულობა 1

**netgazeti.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 26 120 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 2

**droni.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 8 876 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 3

**internet.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 51 245 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 4

**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 11 371 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 5

**news.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 40 750 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 6

**presa.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 37 255 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 7

**civil.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 19 662 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 8

**tabula.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 17 897 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 9

**onlinenews.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ( სულ 15 336 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 10

**for.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 63 482 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 11

**dfwatch.net-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 18 547 სიტყვა)**



დიაგრამა: მოცულობა 12


**palitratv.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 7 სთ 52 წთ)**



დიაგრამა: ტონი 1




**netgazeti.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 1

**netgazeti.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 2

**droni.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 2

**droni.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა უარნაღისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 3

**internet.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 3


**internet.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ტონი 4

**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



ღიბა: ჟურნალისტის ტონი 4


**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი




ღიბა: ტონი 5

**news.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 5

**news.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 6

**presa.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 6

**presa.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 7

**civil.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 7

**civil.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 8

**tabula.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 8


**tabula.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ტონი 9




**onlinenews.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 9

**onlinenews.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 10

**for.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 10

**for.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 11

**dfwatch.net-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 11

**dfwatchnet.-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ტონი 12

**palitratv.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო  
ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 12

**palitratv.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო  
ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**

